განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რომლის დასაძლევად ეფექტიანი საკანონმდებლო მექანიზმების არსებობაა აუცილებელი. მიუხედავად ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით განხორციელებული არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებისა, განმეორებითი ძალადობის პრევენციისთვის საკმარის ყველა საჭირო ინსტრუმენტს ჯერ კიდევ არ შეიცავს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა. შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსში განსახორციელებელმა ცვლილებებმა შემაკავებელი და დამცავი ორდერის პირობების დარღვევის, ასევე ოჯახში ძალადობის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, მოძალადეთა მიმართ ქმედების შესაბამისი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარება უნდა უზრუნველყოს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დღეს მოქმედი რედაქციის თანახმად, შემაკავებელი და დამცავი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. სახელმწიფოს პოლიტიკა - შემაკავებელი და დამცავი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნების/ვალდებულებების შეუსრულებლობა ყოფილიყო დასჯილი შედარებით მსუბუქად ადმინისტრაციული წესით, აღმოჩნდა არაეფექტური პრობლემის წინაშე საბრძოლველად.

როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, ძალადობის მსხვერპლი შემაკავებელი/დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვის გადაწყვეტილებას მის მიმართ ძალადობის რამდენიმე ფაქტის განხორციელების შემდეგ იღებს. ამ პირობებში, შემაკავებელი/დამცავი ორდერის მოთხოვნათა დარღვევის პირველივე შემთხვევა იმდენად მაღალი საშიშროების შემცველია, რომ მისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესება მოძალადეს გაუმართლებელ შეღავათს უწევს. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შემაკავებელი/დამცავი ორდერის პირობების შესრულების უზრუნველყოფის არასაკმარისი საშუალებაა, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც გაზრდილია არა მხოლოდ ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის, არამედ შემაკავებელი/დამცავი ორდერის პირობების დარღვევის ფაქტები.

კერძოდ, 2012 წელს ოჯახში ძალადობით (სსკ-ის 126[1] მუხლი) გამოძიება დაიწყო 281, 2013 წელს - 472, 2014 წელს - 636, 2015 წელს - 1150, 2016 წელს - 1727, 2017 წელს - 2562, ხოლო 2018 წლის იანვარი-მარტის პერიოდში - 1107 ფაქტზე. რაც შეეხება ოჯახურ დანაშაულს (სსკ-ის 11[1] მუხლი), 2012 წელს გამოძიება დაიწყო 44, 2013 წელს - 143, 2014 წელს - 96, 2015 წელს - 168, 2016 წელს - 283, 2017 წელს - 316, ხოლო 2018 წლის იანვარ-მარტის პერიოდში - 131 ფაქტზე.

ასევე, 2012 წელს სსკ-ის 381[1] მუხლით (შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა) გამოძიება დაიწყო 5, 2013 წელს - 12, 2014 წელს - 10, 2015 წელს - 36, 2016 წელს - 28, 2017 წელს - 29, ხოლო 2018 წლის იანვარ-მარტის პერიოდში - 18 ფაქტზე. რაც შეეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175[2] მუხლით (შემაკავებელი და დამცავი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა) გათვალისწინებული სამართალდარღვევის ფაქტებს, 2012 წელს გამოვლენილია 34, 2013 წელს - 46, 2014 წელს - 122, 2015 წელს - 271, 2016 წელს - 267, 2017 წელს - 354, ხოლო 2018 წლის იანვარ-მარტის პერიოდში - 106 ფაქტი.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლი, 11.05.2011; საქართველომ კონვენციას ხელი მოაწერა 2014 წლის 19 ივნისს და ძალაში შევიდა 2017 წლის 1 სექტემბერს) 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ გაცემული შემაკავებელი ან დამცავი ორდერების დარღვევა იწვევდეს ეფექტური, თანაზომიერი და გადამარწმუნებელი ზეგავლენის მქონე სისხლისსამართლებრივ ან სხვა იურიდიულ სანქციებს. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია ქალების ძალადობისგან დაცვის თაობაზე (REC(2002)5 2002 წლის 30 აპრილი) აღნიშნავს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშავონ, განავითარონ და/ან დახვეწონ ძალადობის წინააღმდეგ ეროვნული მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტები სახელმწიფოს ავალდებულებს, რომ მისი ნაბიჯები და გატარებული ზომები იყოს ეფექტიანი და ადეკვატურად პასუხობდეს მის წინაშე მდგარ გამოწვევებს. სტატისტიკაც ნათლად ადასტურებს, რომ შემაკავებელი/დამცავი ორდერების მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება მოძალადისათვის არ არის დამაშინებელი, შემზღუდავი ან/და გადამარწმუნებელი. შესაბამისად, პრობლემას სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოყვეს ადეკვატური პასუხი, რათა ყველა ზომა იქნეს გატარებული მსხვერპლთა ინტერესების დასაცავად.

აღნიშნულს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს შემაკავებელი ან დამცავი ორდერის მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის პირველივე შემთხვევაზე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გამოყენება. მოძალადის ქმედებაზე სახელმწიფოს რეაგირება უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმის შესაბამისი და წარმოადგენდეს ადეკვატურ წინაღობას, რომელიც შესაძლებელს გახდის ძალადობის ეფექტიან პრევენციას.

ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის განხილვისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს მათი ბუნება. ასეთი ტიპის დანაშაულებს ახასიათებთ სისტემატურობა და არაერთგზისობა. ოჯახში ძალადობა ხშირად არ არის ერთჯერადი ქმედება, არამედ ეს არის პროცესი, რომელიც შედგება ძალადობის განმეორებადი ციკლებისაგან. ოჯახში ძალადობა დროში გახანგრძლივებულია და აქვს ზრდის ტენდენცია. ძალადობის ფაქტები დროთა განმავლობაში ხდება უფრო და უფრო სისტემატური და მძიმე, რასაც მოყვება ფატალური შედეგებიც. პრაქტიკა ადასტურებს, რომ ხშირად ოჯახში ძალადობას ამგვარი დანაშაულისთვის ნასამართლევი პირები სჩადიან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტული დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრისას მხედველობაში იქნეს მიღებული პირის მიერ წინათ ჩადენილი ქმედებები და

მოხდეს საშიშროების მაღალი ხარისხიდან გამომდინარე გარკვეული ოჯახური დანაშაულების ურთიერთდაკავშირება.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად, გარკვეული გარემოებები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, როგორც დამამძიმებელი გარემოებები კონვენციით დადგენილი დანაშაულის მიმართ სასჯელის განსაზღვრის დროს. ერთ-ერთი ასეთ გარემოებას წარმოადგენს პირის ნასამართლობა მსგავსი დანაშაულისთვის (46 „ი“). მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის არაერთგზის ჩამდენი პირების მიმართ ადეკვატურ სანქციებს არ ითვალისწინებს. არაერთგზისობა მთელი რიგი დანაშაულებისთვის არ წარმოადგენს დამამძიმებელ გარემოებას, რაც ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ოჯახური დანაშაულის პირველად ჩამდენი და განმეორებით ჩამდენი პირი ერთი და იმავე სასჯელით დაისაჯოს. შესაბამისად, ამ დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია არაერთგზისობა, როგორც დამამძიმებელი გარემოება, დაემატოს ოჯახური დანაშაულის ყველა იმ მუხლს, რომელიც მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის 11^1 მუხლში.

ოჯახში ძალადობა (126^1 მუხლი) დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს აღნიშნული ქმედების ჩადენას არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ, თუმცა აღნიშნული დამამძიმებელი გარემოება არ არის გათვალისწინებული ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაულებისთვის, როგორიც არის ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება (120-ე მუხლი), ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება (118-ე მუხლი) და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (117-ე მუხლი). შესაბამისად, მიზანშეწონილია, ზემოაღნიშნულ მუხლებსაც გააჩნდეთ აღნიშნული გარემოება პასუხიმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად.

სისხლის სამართლის კოდექსის 11^1 მუხლში არსებული ოჯახური დანაშაულების ჩამონათვალიდან ხდება სსკ-ის 108-ე მუხლის ამოღება, ვინაიდან სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილს დამამძიმებელი გარემოების სახით ემატება განზრახი მკვლელობა ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ. შესაბამისად, ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი მკვლელობა აღარ მოგვცემს მარტივი მკვლელობის შემადგენლობას. იმავე ლოგიკით, 11^1 მუხლის მეორე ნაწილის შენიშვნაში არ არის მითითებული სსკ-ის 108-ე მუხლი.

კონვენციით გათვალისწინებულ მიზნებს ვერ პასუხობს სისხლის სამართლის კოდექსის 53^1 მუხლი, რომელიც, მართალია, დისკრიმინაციული ნიშნით, ასევე ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ დანაშაულის ჩადენას პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად განიხილავს, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის მსგავსად, არ აწესებს სასამართლოს მიერ დასანიშნი სასჯელის ზღვრულ ოდენობას. ამგვარი რეგულაცია ვერ პასუხობს კანონმდებლის მიზანს შედარებით მკაცრად დასაჯოს დისკრიმინაციული ნიშნით, ასევე ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ დანაშაულის ჩამდენი პირები, ვინაიდან ის მინიმუმთან უკიდურესად მიახლოებული სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობასაც იძლევა. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სსკ-ის 53^1 მუხლში გაკეთდეს სსკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის მსგავსი ჩანაწერი.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია მკაფიოდ აცხადებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში

ძალადობა არ არის პირადი საქმე. პირიქით, იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ოჯახის შიგნით მომხდარ დანაშაულს ბევრად უფრო ძლიერი ტრავმის გამოწვევა შეუძლია, ამიტომ, ამგვარი დანაშაულის ჩამდენს უფრო მკაცრი სასჯელი უნდა განესაზღვროს, როდესაც მსხვერპლი მისი მეუღლე, პარტნიორი ან ოჯახის წევრია.

სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლი, ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო, ასევე არ წარმოადგენს გენდერის ან გენდერული იდენტობის ნიშნით დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ ადეკვატური სანქციების გამოყენების ეფექტიან მექანიზმს მაშინ, როცა ამგვარი დანაშაული ბოლოდროინდელი ფაქტების გათვალისწინებით ქვეყნისთვის ერთ-ერთი გამოწვევაა. შესაბამისად, მსგავსად „რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, ეთნიკური შეუწყნარებლობის“ მოტივისა, მიზანშეწონილია, გენდერი და გენდერული იდენტობის ნიშანი გათვალისწინებული იქნეს როგორც დანაშაულის დამამძიმებელი გარემოება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის იმ დანაშაულებისთვის, რომელთა ჩადენის დროსაც ყველაზე ხშირად არსებობს ამგვარი მოტივის არსებობის ეჭვი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე აუცილებელია ისეთ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულს, როგორიც არის მკვლელობა, დამამძიმებელი გარემოების სახით გააჩნდეს აღნიშნული ქმედების ჩადენა ოჯახის წევრის მიმართ, რაზეც განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციაშიც.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების ძირითად მიზანს წარმოადგენს ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულის და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა, ამ მიმართულებით საკანონმდებლო ნორმების დახვეწა და სახელმწიფო პოლიტიკის გამკაცრება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

- სსკ-ის 53[1] მუხლს ემატება მე-3 ნაწილი, რომელიც ადგენს, რომ სსკ-ის 53[1] მუხლის 1-ლი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას დანაშაულის ჩადენის დროს ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღემატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას.
- სისხლის სამართლის კოდექსის 11[1] მუხლში არსებული ოჯახური დანაშაულების ჩამონათვალიდან ხდება სსკ-ის 108-ე მუხლის ამოღება, ვინაიდან სსკ-ის 109-ე მუხლის მეორე ნაწილს დამამძიმებელი გარემოების სახით ემატება განზრახი მკვლელობა ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ. სსკ-ის 11[1] მუხლის მეორე ნაწილის შენიშვნაშიც არ არის მითითებული სსკ-ის 108-ე მუხლი.
- კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია პირის მიერ წარსულში ჩადენილ ოჯახში ძალადობასა და ოჯახურ დანაშაულს არ განიხილავს, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას. სსკ-ის 11[1] მუხლში განხორციელებული ცვლილების თანახმად, პირის მიერ წარსულში 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 137-ე-139-ე,

141-ე, 143-ე, 144-ე-144[3] მუხლებით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის ან/და ოჯახში ძალადობის (126[1] მუხლი) ჩადენის ფაქტი გათვალისწინებული იქნება, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება და მოგვცემს ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულისთვის არაერთგზისობას.

- სსკ-ის 11[1] მუხლით განსაზღვრული ყველა დანაშაული დამამძიმებელი გარემოების სახით არ ითვალისწინებს არაერთგზისობას. შესაბამისად, ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის განმეორებით ჩამდენი პირების მიმართ პასუხისმგებლობის გამკაცრების მიზნით, სსკ-ის 115-ე, 120-ე, 144[2], 149-ე, 150[1], 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე, 255-ე, 255[1], 381[1] და 381[2] მუხლებს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად განესაზღვრებათ არაერთგზისობა. აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, ზოგიერთმა მუხლმა მოითხოვა „ნაწილის“ ან/და „ქვეპუნქტის“ დამატება.
- სსკ-ის 120-ე მუხლის 1-ლი ნაწილისთვის იზრდება სანქცია და განისაზღვრება თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე, ასევე მე-2 ნაწილად დამამძიმებელ გარემოებებად ემატება ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება არასრულწლოვნის, ორსული ქალის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, ასევე, არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ, არაერთგზის, ორი ან მეტი პირის მიმართ ან ჯგუფურად და სანქციის სახით განისაზღვრება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.
- მკაცრდება სასჯელი სსკ-ის 126[1] მუხლის პირველ ნაწილისთვის და სანქციის სახით გათვალისწინებული იქნება თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე ვადით.
- ცვლილება გულისხმობს გენდერის ან გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების დამამძიმებელ გარემოებად აღიარებას ისეთ დანაშაულებთან მიმართებით, როგორებიცაა მკვლელობა (მუხლი 109), თვითმკვლელობამდე მიყვანა (მუხლი 115), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (მუხლი 117), ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება (მუხლი 118). ამასთან, სსკ-ის 109-ე მუხლს დამამძიმებელ გარემოებად ემატება მკვლელობა, ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ, ხოლო სსკ-ის 117-ე მუხლს დამამძიმებელ გარემოებად ასევე ემატება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ჩადენილი არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ, რაც ასევე დამამძიმებელი გარემოება იქნება 118-ე მუხლისთვის.
- სსკ-ის 381[1] მუხლის პირველი ნაწილით განისაზღვრება პასუხისმგებლობა შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, რაც დაისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოთხმოცდან ორას ორმოც საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე. აღნიშნული მუხლით ქმედების კვალიფიკაციისათვის აღარ იქნება საჭირო პრეიუდიციული ფაქტის არსებობა - იმავე ქმედებისთვის პირის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის შეფარდება. შესაბამისად, პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები გატარდება შემაკავებელი ან დამცავი ორდერის დარღვევის პირველივე შემთხვევაზე. ასევე, აღნიშნულ მუხლს ემატება დამამძიმებელი გარემოება - ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი არაერთგზის, რაც დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფას. აუცილებელი ხარჯების დაფინანსება განხორციელდება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნენების ფარგლებში.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა პირველივე შემთხვევაში დაისჯება სისხლის სამართლის წესით ნაცვლად ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისა. აღნიშნულმა შეიძლება გავლენა იქონიოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლი სანქციის სახით ითვალისწინებდა ადმინისტრაციულ პატიმრობას ან გამასწორებელ სამუშაოს, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსით აღნიშნული დანაშაულისათვის სასჯელის სახედ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისა და თავისუფლების აღკვეთის გარდა გათვალისწინებულია ჯარიმა, რომლის მინიმალური ოდენობა არის 500 ლარი. გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება შესაბამის დანაშაულთა რაოდენობაზე, რომლებზეც სასჯელის სახით გამოყენებული იქნება ჯარიმა.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

პროექტი ითვალისწინებს სისხლის სამართლის დასჯად დანაშაულად შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის პირველივე შემთხვევის გამოცხადებას, ასევე დამამძიმებელი გარემოებების დამატებას ცალკეული მუხლებისათვის და რიგ შემთხვევებში სანქციის სახით თავისუფლების აღკვეთის ვადების გაზრდას. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება გაიზარდოს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსათავსებელ პირთა რაოდენობა და მათი ყოფნის ხანგრძლივობა. ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსში ემატება ახალი დამამძიმებელი გარემოებები, რომელთა ნაწილი საერთოდ არ იყო გათვალისწინებული ცალკეული დანაშაულების შემადგენლობებისთვის, მოცემულ ეტაპზე შეუძლებელია ამ ქმედებების რაოდენობის დადგენა და შესაბამისად, კანონის ამოქმედების შემდეგ ამ ქმედებებისათვის მსჯავრდებულთა სასჯელის აღსრულების ხარჯების ზუსტი განსაზღვრა.

აღნიშნულის დაფინანსება განხორციელდება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნენების ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება. შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა დაისჯება პირველივე შემთხვევაში სისხლის სამართლის წესით, რაც სასჯელის სახედ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისა და თავისუფლების აღკვეთის გარდა, ასევე ითვალისწინებს ჯარიმას. პირს ჯარიმა შეიძლება განესაზღვროს 500 ლარიდან.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი ითვალისწინებს შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის სასჯელის ერთ-ერთ სახედ ჯარიმის განსაზღვრას. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, ჯარიმის მინიმალური ოდენობა აღნიშნული დანაშაულისათვის განსაზღვრულია 500 ლარის ოდენობით. მაქსიმალური ოდენობა განსაზღვრული არ არის და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას მოსამართლე ითვალისწინებს ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.